# ხელშეკრულება № 02/12

ქ. თბილისი

"10" თებერვალი 2012 წ

ერთი მხრივ შპს „კაუკასუს მეტალ ტერმინალი" (შემდგომში „დამკვეთი") წარმოდგენილი მისი დირექტორის *გოჩა კურდღელიას* მიერ, ხოლო მეორე მხრივ შპს „მშენ-ექსპერტი" (შემდგომში „შემსრულებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის, *მალხაზ წიქარიშვილის* მიერ გამოხატავენ კეთილ ნებას ითანამშრომლონ და დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დამკვეთის დავალების/დაკვეთის საფუძველზე შემსრულებლის მიერ მომსახურების გაწევა (იხ. დანართი).

1.1. პუნქტში აღნიშნული მომსახურება გულისხმობს *ქ. ფოთში მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 04.01.02.817) ტერმინალის პროექტის შედგენა, რომლის შემადგენლობაშიც შევა 1. გეოლოგიური კვლევა-ძიება და დასკვნის მომზადება 2. ტოპო-გადაღება; 3. პროექტის არქიტექტურული ნაწილი; 4. პროექტის კონსტრუქციული ნაწილი (ბეტონის სამუშაოების ნახაზები და ანგარიში, შენობის კარკასის ანგარიში, სვეტების, რიგელების და გადახურვის ფერმების ანგარიში); 5. საინჟინრო ნაწილი (ელ. ენერგიით მომარაგება, ცივი წყლით მომარაგება, კანალიზაცია, სახანძრო სიგნალიზაცია და წყლის გიდრანტები); 6. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი; 7. სრული ხარჯთაღრიცხვა; 8. მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობა მშენებლობის ყველა ეტაპზე მშენებლობის დამთავრებამდე.*

1.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან, შესაბამისად, მომსახურება შემსრულებელმა უნდა შეასრულოს ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან მშენებლობის დასრულებამდე.

## მუხლი 2. ანგარიშსწორების პირობები

2.1. მომსახურების სრულყოფილი გაწევისათვის დამკვეთი შემსრულებელს გადაუხდის სახელშეკრულებო თანხას, რომელიც განისაზღვრება *60 000* (სამოცი ათასი) *ლარით.* აქედან I ეტაპი განისაზღვრება საპროექტო სამუშაოების დასრულებით, რომლის ღირებულება შეადგენს *48 000* (ორმოცდა რვა ათასი) *ლარს* და II ეტაპი სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობით, რომელის ღირებულება განისაზღვრება *12 000* (თორმეტი ათასი) *ლარით.*

2.2. სახელშეკრულებო თანხის გადახდა ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში, ლარში, შემსრულებლის კუთვნილ საბანკო რეკვიზიტებზე, რომელიც მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლში.

2.3. სახელშეკრულებო თანხის გადახდა უნდა მოხდეს ეტაპობრივად, წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის და/ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სათანადო ფინანსური დოკუმენტის საფუძველზე.

2.4. დამკვეთის მხრიდან 2.3. პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის გამო, შემსრულებელი უფლებამოსილია მოთხოვოს დამკვეთს პირგასამტეხლოს გადახდა სახელშეკრულებო თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## მუხლი 3. მხარეთა ძირითადი უფლება-მოვალეობები

*შემსრულებელი:*

3.1. შემსრულებელი დამკვეთის დავალების/დაკვეთის (დანართი №1) საფუძველზე ვალდებულია გაუწიოს დამკვეთს 1 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება, რომელიც უნდა იყოს შესრულებული პროფესიონალურად, საქართველოს კანონმდებოლლობისა და ამ ხელშეკრულების ნორმების დაცვით.

3.2. შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს გადასცეს პროექტი ალბომის სახით (4 ეგზემლიარი) და ელექტრონული ვერსია.

3.3. შემსრულებელი ვალდებულია შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ცვლილებები შეიტანოს პროექტში თავისი ხარჯებით.

*დამკვეთი:*

3.4. დამკვეთი თავის მხრივ ვალდებულია გადაუხადოს შემსრულებელს სახელშეკრულებო თანხა მე-2 მუხლით გათვალისწინებული ვადებითა და ოდენობით.

3.5. დამკვეთი უფლებამოსილია შეატყობინოს შემსრულებელს იმ მოსალოდნელი პრობლემების შესახებ, რამაც შესაძლოა დააბრკოლოს დამკვეთი სახელშეკრულებო თანხის გადახდისაგან.

### მუხლი 4. საგარანტიო პირობები

4.1. შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ სახელშეკრულებო საგანი იქნება შესრულებული პროფესიონალურად და დათქმულ ვადებში.
4.2. იმ შემთხვევაში, თუ შემსრულებელი აჭიანურებს მომსახურების განხორციელებას და ირღვევა სახელშეკრულებო ვადები, დამკვეთი უფლებამოსილი იქნება მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და ასევე მოსთხოვოს შემსრულებელს პირგასამტეხლოს გადახდა სახელშეკრულებო თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
4.3. თუ შემსრულებლის მიერ მომსახურების გაწევა დაგვიანდა 1 (ერთ) კალენდარულ კვირაზე მეტი ვადით, დამკვეთი პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნის გარდა უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება ხელშეკრულების მოშლისათვის დადგენილი ვადების დაცვის გარეშე.

### მუხლი 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი ვადამდე ადრე მოშლის პირობები

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება არის ერთჯერადი ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრ ვალდებულებათა სრულყოფილ შესრულებამდე. მხარეთა მიერ ვალდებულებათა სრულყოფილ შესრულებად ითვლება შემსრულებლის მხრიდან ობიექტის მშენებლობის სრულ დასრულებამდე. წინამდებარე ხელშეკრულება ავტომატურად წყდება მხარეთა მიერ აღნიშნული ვალდებულებების შესრულებისთანავე.
5.2. წინამდებარე ხელშეკრულება კონფიდენციალურობის დაცვის პუნქტში გრძელდება ამავე პუნქტში მითითებული ვადის გათვალისწინებით. დაუშვებელია კონფიდენციალურობის ვალდებულების დაცვისთვის დადგენილი ვადის ვადემდე შეწყვეტა.
5.3. ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შემთხვევაში უნდა შედგეს წერილობითი დოკუმენტი, სადაც მხარეები თავიანთი ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით წერილობითი ფორმით დააფიქსირებენ მათ მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების/შეუსრულებლობის შესახებ, ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს და ასეთი ფაქტის დადგომის ნამდვილობას და ძალაში შესვლას.

### მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. მხარეები კისრულობენ პასუხისმგებლობას დროულად შეასრულონ ნაკისრი მოვალეობები და აღნიშნული მოვალეობების შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში ერთმანეთის წინაშე პასუხი აგონ წინამდებარე ხელშეკრულების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
6.2. მხარეები თავსუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან, თუ ადგილი აქვს ხელშეკრულების მე-8 მუხლით გათვალისწინებულ მოვლენებს.

### მუხლი 7. კონფიდენციალურობა

7.1. შემსრულებელი ვალდებულია დაიცვას და არ გაახმაუროს წინამდებარე ხელშეკრულებაში აღნიშნული ინფორმაცია (როგორც კომერციული ისე არაკომერციული).
7.2. შემსრულებელი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალურობა და არ გაახმაუროს კონფიდენციალური/კომერციული ინფორმაცია მაშინაც კი თუ ის შეწყვეტავს დამკვეთთან სახელშეკრულებო ურთიერთობას.

### მუხლი 8. ფორს მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივი ან სრული შეუსრულებლობისათვის, თუ ის იყო გამოწვეული გადაულახავი გარემოებებით – ხანძრით, წყალდიდობით, მიწისძვრით, ქარიშხლით, გრიგალით და სხვა ბუნებრივი

სტიქიური მოვლენებით; ომით, სამოქალაქო დაუმორჩილებლობით, რევოლუციით, აჯანყებით, ელექტროენერგიის მასობრივი გათიშვით ან სხვა ისეთი მოვლენებით, რომლებმაც უშუალოდ იმოქმედეს ამ ხელშეკრულების შესრულებაზე.

8.2. შესრულების ვადა გადაიდება იმ დროით, რის განმავლობაშიც მოქმედებენ ეს გარემოებები.

## მუხლი 9. სხვა პირობები

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, რუსულ და ქართულ ენებზე.

## მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

<u>დამკვეთი</u>

შპს „ კავკასუს მეტალ ტერმინალი "
მის: ქ. ფოთი, წმინდა გიორგის №35
საიდენტიფიკაციო კოდი: 415083778
ბანკი: სს "საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE56BG0000000319501700
დირექტორი:

გოჩა კურდღელია

ხელმოწერა ბ.ა.

<u>შემსრულებელი</u>

შპს „მშენ-ექსპერტი"
მის: ქ. თბილისი, ნოსტეს ქ. №28
საიდენტიფიკაციო კოდი: 200266559
ბანკი: სს "თი ბი სი ბანკი"
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE91BG0000000252938700
დირექტორი
*მალხაზ წიქარიშვილი*

ხელმოწერა ბ.ა.

მიღება-ჩაბარების აქტი 02/12

(I ეტაპი)

ქ. თბილისი

"10" აპრილი 2012 წელი

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს „მშენ-ექსპერტი" („დამკვეთი") წარმოდგენილი მისი დირექტორის *მალხაზ წიქარიშვილის* მიერ და მეორეს მხრივ შპს „კაუკასუს მეტალ ტერმინალი" (შემდგომში „დამკვეთი") წარმოდგენილი მისი დირექტორის *გოჩა კურდღელიას* მიერ

ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს და ვადასტურებთ, რომ შემსრულებლის მიერ შესრულებულია 2012 წლის "10" თებერვლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული I ეტაპის შესრულების ვალდებულებები: *ქ. ფოთში მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 04.01.02.817) ტერმინალის პროექტის* შედგენა, *რომლის შემადგენლობაშიც* შედა *1. გეოლოგიური კვლევა-ძიება და დასკვნის მომზადება 2. ტოპო-გადაღება; 3. პროექტის არქიტექტურული ნაწილი; 4. პროექტის კონსტრუქციული ნაწილი (ბეტონის სამუშაოების ნახაზები და ანგარიში,* შენობის *კარკასის ანგარიში, სვეტების, რიგელების და გადახურვის ფერმების ანგარიში); 5. საინჟინრო ნაწილი (ელ. ენერგიით მომარაგება, ცივი წყლით მომარაგება, კანალიზაცია, სახანძრო სიგნალიზაცია და წყლის გიდრანტები); 6. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი; 7. სრული ხარჯთაღრიცხვა.*

ანაზღაურებული სამუშაოს შესრულებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია I ეტაპის შესრულების თანხა *48 000* (ორმოცდა რვა ათასი) *ლარი.*

არ არსებობს ურთიერთპრეტენზიები შესრულებულ სამუშაოზე.

ეს აქტი შედგენილია ორი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებთან.

ჩააბარა

შემსრულებელი:

შპს „კაუკასუს მეტალ ტერმინალი"

დირექტორი:

*გ. კურდღელია*

მიიღო

დამკვეთი:

შპს „მშენ-ექსპერტი"-ს

დირექტორი:

*მ. წიქარიშვილი*

მიღება-ჩაბარების აქტი 02/12-1

(II ეტაპი)

ქ. თბილისი "25" აპრილი 2013 წელი

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შპს „მშენ-ექსპერტი" („შემსრულებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის *მალხაზ წიქარიშვილის* მიერ და მეორეს მხრივ შპს „კაუკასუს მეტალ ტერმინალი" (შემდგომში „დამკვეთი") წარმოდგენილი მისი დირექტორის *გოჩა კურდღელიას* მიერ

ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს და ვადასტურებთ, რომ შემსრულებლის მიერ შესრულებულია 2012 წლის "10" თებერვლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული II ეტაპის შესრულების ვალდებულებები: *ქ. ფოთში მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 04.01.02.817) ტერმინალის სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ტექ.ზედამხედველობის შესახებ დასკვნის წარდგენა.*

ანაზღაურება შესრულებული სამუშაოსათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია თანხით ***12 000*** (თორმეტი ათასი) *ლარი.*

არ არსებობს ურთიერთპრეტენზიები შესრულებულ სამუშაოზე.

ეს აქტი შედგენილია ორი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად და ინახება ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებთან.

ჩააბარა

შემსრულებელი:

შპს „მშენ-ექსპერტი"-ს

დირექტორი:

მ. წიქარიშვილი

მიიღო

დამკვეთი:

შპს „კაუკასუს მეტალ ტერმინალი"

დირექტორი:

*გ. კურდღელია*

# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 221

ხელშეკრულების დადების საფუძველია საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-$10^{1}$ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2012 წლის " 16 " 02 " ქ. თბილისში

დამკვეთი: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე – საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილის ლევან კანთელაძის სახით.

- მისამართი: ქ. თბილისი, გ. გულუას ქუჩა №10
- საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა. საიდენტიფიკაციო კოდი 204383176
- შემსრულებელი: შპს „მშენ-ექსპერტი" საიდენტიფიკაციო კოდი: 200 266 559
- მისამართი, ტელეფონი: ქ. თბილისი, ნოსტეს ქუჩა №28; ტელ: 599 73-02-15
- დირექტორი: მალხაზ ჭიქარიშვილი
- საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „საქართველოს ბანკი" ბ/კ: BAGAGE22; ა/ა: GE91BG 0000 0002 5293 8700

ერთის მხრივ, დამკვეთი და მეორეს მხრივ, შემსრულებელი ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსრულებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ხარაგაულის და ცაგერის რაიონული სამმართველოების ად. შენობების სამშენებლო სამუშაოებზე საავტორო ზედამხედველობა.

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს:

6000,00 (ექვსი ათასი) ლარს

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

2.2. ხელშეკრულების ფასი შეიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მომსახურებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

2.3. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

## 3. მომსახურების გაწევის წესი და ვადები

3.1. დამკვეთი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის დროს ჩაატაროს შემოწმება/ტექნიკური კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს შსს შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოების ორგანიზებისა და ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილეს მამუკა

…ტარქალიშვილს, რომელიც აგრეთვე უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება და უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარება, ხოლო **შემსრულებელი** ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების ჩატარების დროს.

3.2. ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით **შემსრულებელი** იღებს ვალდებულებას განახორციელოს შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ხარაგაულის და ცაგერის რაიონული სამმართველოების ად. შენობების სამშენებლო სამუშაოებზე საავტორო ზედამხედველობა **2012 წლის 10 ნოემბრამდე.**

3.3. მომსახურების გაწევა დასტურდება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.

## 4. ანგარიშსწორების წესი

4.1. **დამკვეთი** იღებს ვალდებულებას გადაუხადოს **შემსრულებელს** ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურება ეტაპობრივად, მომსახურების გაწევის შემდეგ **20** კალენდარული დღის განმავლობაში კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

4.2. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

4.3. გადახდის ფორმა: **უნაღდო**

## 5. მხარეთა ურთიერთვალდებულებები და პასუხისმგებლობა

5.1 დამკვეთი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს შემსრულებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

5.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.3 დამკვეთი უფლებამოსილია მომსახურების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს შემსრულებელს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად შეუსრულებელი მომსახურების ღირებულების **0,2 %-ის** ოდენობით.

5.4 დამკვეთი უფლებამოსილია, შემსრულებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსრულებელს დააკისროს ჯარიმა შეუსრულებელი მომსახურების ღირებულების **3% -ის** ოდენობით.

## 6. ფორს-მაჟორი

6.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

6.2. ამ მუხლის ფარგლებში "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული მიმწოდებლის შეცდომებსა და/ან დაუდევრობასთან და რომელთა გათვალისწინებაც შეუძლებელი იქნებოდა წინასწარ. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებათა მკვეთრი შემცირებით და სხვა.

6.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში იმ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების დადგომის და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 7. სხვა პირობები

7.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით** და/ან მხარეთა მიერ თავის მოვალეობების სრულ შესრულებამდე.

7.2. მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.

7.3. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7.5. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

**დამკვეთის მხრიდან:**

შსს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე

ლევან კანთელაძე

**შემსრულებლის მხრიდან:**

შ.პ.ს. "მშენ-ექსპერტი"-ს დირექტორი

მალხაზ ფიქარიშვილი

# მიღება-ჩაბარების აქტი

ქ.თბილისი

21 მაისი, 2012 წელი.

ერთის მხრივ, შპს "მშენ-ექსპერტი" (შემდგომში "შემსრულებელი") დირექტორის მ.წიქარიშვილის სახით და მეორეს მხრივ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოების ორგანიზებისა და ტექნიკური ზედამხედველობის სამსახური, სამსახურის უფროსის მოადგილის მ.პატარქალიშვილის სახით (შემდგომში "დამკვეთი") ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს: №221 16.02.2012წ. ხელშეკრულების შესაბამისად შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ხარაგაულის და ცაგერის რაიონული სამმართველოების ადმინისტრაციული შენობების მშენებლობის პერიოდში საავტორო ზედამხედველობის სამუშაოებზე.

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ***6000,00 (ექვსი ათასი)*** ლარს. მშენებლობის ამ ეტაპისთვის "შემსრულებელმა" შეასრულა და "დამკვეთმა" მიიღო აღნიშნული მშენებლობის ზედამხედველობის სამუშაოები, რომელთა ღირებულება შეადგენს ***3000,00 (სამი ათასი)*** ლარს.

"დამკვეთი" მ.პატარქალიშვილი

"შემსრულებელი" მ.წიქარიშვილი

# მიღება-ჩაბარების აქტი

ქ.თბილისი 15 სექტემბერი, 2012 წელი.

ერთის მხრივ, შპს "მშენ-ექსპერტი" (შემდგომში "შემსრულებებლი") დირექტორის მ.წიქარიშვილის სახით და მეორეს მხრივ შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოების ორგანიზებისა და ტექნიკური ზედამხედველობის სამსახური, სამსახურის უფროსის მოადგილის ს.ნაზაროვის სახით (შემდგომში "დამკვეთი") ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს: №221 16.02.2012წ. ხელშეკრულების შესაბამისად შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ხარაგაულის და ცაგერის რაიონული სამმართველოების ადმინისტრაციული შენობების მშენებლობის პერიოდში საავტორო ზედამხედველობის სამუშაოებზე.

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ***6000,00 (ექვსი ათასი)*** ლარს. მშენებლობის ამ ეტაპისთვის "შემსრულებელმა" შეასრულა და "დამკვეთმა" მიიღო აღნიშნული მშენებლობის ზედამხედველობის სამუშაოები, რომელთა ღირებულება შეადგენს ***3000,00 (სამი ათასი)*** ლარს.

"დამკვეთი" ს.ნაზაროვი

"შემსრულებელი" მ.წიქარიშვილი

# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №76

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 იანვრის №162 განკარგულების საფუძველზე

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 22 თებერვალი 2012 წ.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" ბრძანების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დანართებით და ასევე დოკუმენტებით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მითითება.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელთანაც შემსყიდველმა გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ისპანდიარ ქრომოვის სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „მშენ-ექსპერტი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის მალხაზ წიქარიშვილის სახით.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს *საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 იანვრის №162 განკარგულებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში "მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში სხვადასხვა საუბნოების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადების* შესყიდვა (CPV-713 00000–საინჟინრო მომსახურებები) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 გაწეული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს *10 182 (ათი ათას ას ოთხმოცდაორი) ლარს* საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

4.2 გაწეული მომსახურების ერთეულის ფასი შეადგენს თანახმად დანართი 1-სა

4.3. მომსახურება გაწეული იქნება შემდეგ მისამართზე: *მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორია*

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს *2012 წლის 20 მარტამდე* ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, იგი პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და ვარგისიანობაზე (დროულობაზე).

5.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.3. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

5.4. შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5.5. მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურება გაწეულად ჩაითვლება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს *მარნეულის გამგეობის ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების სამსახურის უფროსი დავით ხარშილაძე და ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი მალხაზ დეკანოიძე* [illegible]

8. გაწეული მომსახურების ხარისხი და გარანტია

8.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება არ გამოიწვევს ხარვეზებს და შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით თავად უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

9.2 ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმებიდან **10 (ათი) საბანკო დღის** განმავლობაში.

9.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება **უნაღდო** გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

## 10. ფასები

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების **მე-4 პუნქტში** დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრს.

10.2 ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრის შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დასაშვებია გასაწევი მომსახურების განსაზღვრული ფასის გაზრდის ან შემცირების, ობიექტური მიზეზის გამო, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილების, საგადასახადო რეჟიმის შეცვლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის **398-ე მუხლში** გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში, თუ აღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ხელშეკრულების პირობების გაუარესებას შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.

10.3. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ღირებულების გაზრდის შემთხვევაში მისმა ოდენობამ არ უნდა გადააჭარბოს ხელშეკრულების ღირებულების **5%-ს**.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დადების შემდეგ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

## 13. სუბ-კონტრაქტორები

13.2 იმ შემთხვევაში, თუ სუბ-კონტრაქტის დადების ან სუბ-კონტრაქტორის შეცვლის აუცილებლობა წარმოიშობა ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს ზემოაღნიშნულის შესახებ და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბ-კონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს მისი გაფორმებიდან ერთი კვირის ვადაში.

13.4 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

## 14. ფორს-მაჟორი

14.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, სახელმწიფო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 15. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

15.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0,1% ოდენობით**.

15.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

15.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

16.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

16.3 ხელშეკრულების ცალმხრივი პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დარჩენილი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

16.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას; ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16.6 ამ მუხლის **მე-5 პუნქტში** მითითებულ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

## 17. დავების გადაწყვეტის წესი

17.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები ეცდებიან მაქსიმუმ, რომ ყველა ღონე იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

17.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 18. სხვა პირობები

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 15 ივლისი (რიცხვი, თვე, წელი)

18.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე **სამ** ეგზემპლარად და თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

### რეკვიზიტები:

**შემსყიდველი ორგანიზაცია:**

*მარნეულის მუნიციპალიტეტის*
*თვითმმართველობის*
*ორგანო ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. № 73*
*ს/კ 234232149 ა/ა* **GE22LB0120166049432000**
*ბანკის კოდი 220101408*
*ს/ბ „ლიბერთი ბანკი"-ს მარნეულის ფილიალი*

საკრებულოს თავმჯდომარე

____________ ი. ქერიმოვი

(ბ.ა)

**მიმწოდებელი:**

შპს „მშენ-ექსპერტი"
მის: ქ. თბილისი, ნოსტეს ქ. #28
ს/კ 200266559 ა/ა GEBG0000000252938700
ს/ბ „საქართველოს ბანკი"-ს ცენტრ. ფილიალი
ბანკის კოდი BAGAGE22

შ.პ.ს. „მშენ-ექსპერტი" - ს დირექტორი:

____________ მ. წიქარიშვილი

(ბ.ა)

მუნიციპალური შესყიდვების

სამსახურის უფროსი:

____________ /მ. სამაშვილი/

შემსრულებელი:-მუნიციპალური

შესყიდვების სამსახურის მთავარი

სპეციალისტი:

____________ /მ. ნავერიანი/

# მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. მარნეული 14. 03. 2012 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი

ერთის მხრივ, *მარნეულის გამგეობის ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების სამსახურის უფროსი დავით ხარშილაძე და ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი მალხაზ დეკანოიძე* (შემდგომში „დამკვეთი)

და მეორეს მხრივ. შპს „მშენ-ექსპერტი"-ს დირექტორი მალხაზ წიქარიშვილი (შემდგომში „შემსრულებელი")

ვადგენთ წინამდებარე მიღება ჩაბარების აქტს მასზედ, რომ 2012 წლის 22 თებერვლის #76 ხელშეკრულების საფუძველზე მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ჩაიბარა:

*„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში "მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში სხვადასხვა სამუშაოების საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლის საერთო ღირებულებაა 10 182 ლარი*

მიღება-ჩაბარება განხორციელდა 2012 წლის 14. 03

ჩავიბარე: /დ. ხარშილაძე/

/მ. დეკანოიძე/

ჩავაბარე: /მ. წიქარიშვილი/

## ხელშეკრულება №40

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
## (გამარტივებული შესყიდვა)

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „ 23 " თებერვალს 2012 წელს, ქ. თბილისში.

ერთის მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველო (შემდგომში – შემსყიდველი), წარმომადგენლის – საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოადგილის, საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის **დავით რეხვიაშვილის** (საფუძველი: შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის 2011 წლის 12 დეკემბრის №1549010 მინდობილობა) და

მეორეს მხრივ, შპს „მშენ-ექსპერტი" (შემდგომში – მიმწოდებელი), დირექტორ **მალხაზ წიქარიშვილის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „გ" - ქვეპუნქტის საფუძველზე ვადასტურებთ, რომ ჩვენს შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების ობიექტი (საგანი)

1.1 მიმწოდებელი ვალდებულებას იღებს განახორციელოს ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის III და V განყოფილებების მშენებარე ახალი ადმინისტრაციული შენობების მშენებლობის პროცესში მშენებლობის განმახორციელებელი ორგანიზაციების მიერ საპროექტო მონაცემების დაცვისა და ფარული სამუშაოების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით ტექზედამხედველობა **(CPV კოდი– 71247000; 71248000).**

### 2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1 გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 3000.00 (სამიათასი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

2.2 გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასი: ერთი ობიექტის ტექზედამხედველობა – 1500 ლარი.

2.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით.

2.4 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე მიღება–ჩაბარების აქტის და კანონმდებლობით განსაზღვრული საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 საბანკო დღის განმავლობაში.

2.5 ანგარიშწორების ფორმა – უნაღდო. მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით.

2.6 ანგარიშსწორების ადგილი – ქ. თბილისი.

### 3. ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და მიღება-ჩაბარების წესი

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია 2012 წლის 23 თებერვლიდან 2012 წლის 17 ივლისის ჩათვლით განახორციელოს მომსახურების გაწევა.

3.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად, 2.4 მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

3.3 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ.თბილისი.

## 4. ხელშეკრულების ობიექტის ხარისხი

4.1 მიმწოდებელი ვალდებულებას იღებს, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება შესაბამისობაში იქნება ამ სფეროში არსებულ წესებსა და ნორმებთან.

## 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
– შეამოწმოს გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
5.2 შემსყიდველი ვალდებულია:
– მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება;
– უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.
5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე.
5.4 შემსყიდველი პასუხს არ აგებს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.
5.5 მიმწოდებელს უფლება აქვს:
– მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
5.6 მიმწოდებელი ვალდებულია:
– განახორციელოს მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
– აღნიშნულ ობიექტებზე შეადგინოს ფარულ სამუშაოთა აქტები, კერძოდ: ფუძე საძირკვლის სვეტების, რიგელების და გადახურვის ფილის მოწყობის ყველა ეტაპზე;
– შეამოწმოს შეესაბამება თუ არა საპროექტო მოთხოვნებს აღნიშნული ობიექტების რკინაბეტონის კარკასში გამოყენებული მასალები;
– სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შემსრულებლის მიერ საპროექტო მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში აცნობოს შემსყიდველს აღნიშნულის შესახებ;
– შეამოწმოს და დაუდასტუროს (ფორმა №2-ზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერა) სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შემსრულებელს შესრულებული სამუშაოები და მათი შესაბამისობა საპროექტო მოთხოვნებთან.
5.7 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

## 6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის

6.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისთვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება წერილობითი გაფრთხილება.
6.3 შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა შეუსრულებელი მომსახურების ღირებულების 3%-ის ოდენობით.

6.4 შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან მომსახურების ვადის გადაცილების ან სხვა არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს საურავი ყოველ გადაცილებულ დღეზე გაუწეველი მომსახურების ღირებულების 0.2 %-ის ოდენობით.

6.5 მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან არ ათავისუფლებს 6.3 და 6.4 პუნქტებით გათვალისწინებული სანქციების გადახდა.

## 7. ფორს-მაჟორული სიტუაცია

7.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

7.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელთა გათვალისწინებაც შეუძლებელი იქნებოდა წინასწარ. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

7.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 8. ხელშეკრულების გადასინჯვა და ცვლილებების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს უფლება არა აქვს ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

9.2 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება

ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

9.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.4 ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

9.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.6 ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შესრულების კონტროლი

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2012 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

10.2 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამსახურის სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების სარემონტო სამუშაოების ორგანიზებისა და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეგანყოფილების უფროსი მიხეილ ხიდეშელი.

10.3 ინსპექტირების მიზანია: გახაწევი მომსახურების ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლი, ზედამხედველობის განხორციელება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

10.4 კონტროლის შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებლის წუნდების მიზეზების მითითებით.

10.5 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

## 11. დავების გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი ურთიერთმოლაპარაკების მეშვეობით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

11.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

## 12. ხელშეკრულების დამატებითი პირობები

12.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

12.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

12.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, იდენტური შინაარსის 3 ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ორი ეგზემპლიარი რჩება შემსყიდველთან, ერთი მიმწოდებელთან.

12.5 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12.6 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და მხარეთა მიერ ხელმოწერილი.

## მხარეთა რეკვიზიტები

**შემსყიდველი:**

შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს
საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის
სამმართველოს უფროსის მოადგილე,
საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი

დ[illegible]ეხვიაშვილი

მისამართი: ქთბილისი დიღმის მას. IIკვ.
კ. ჩალაძის ქ. №1. ტელ: 241-42-74.
საბანკო რეკვიზიტები; ს/კ 211369179,
ბ/კ220101107, ანგ№200122900,
ს/ს „საქართველოს ეროვნული ბანკი“

**მიმწოდებელი:**

შპს „მშენ-ექსპერტი“
დირექტორი

მ. წიქარიშვილი

მისამართი: ქ. თბილისი ნოსტეს
ქ №28. ტელ: 590-73-02-15.
საბანკო რეკვიზიტები:
ს/კ 200266559 ბ/კ **BAGAGE22**,
ანგ№**GE91BG**0000000252938700
ს/ს „საქართველოს ბანკი“

ეგზ №1

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი

"4" ივლისი 2012 წელი

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი, ერთის მხრივ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველო („შემსყიდველი"), წარმომადგენლის – საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამსახურის სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების სარემონტო სამუშაოების ორგანიზებისა და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეგანყოფილების უფროსი *მიხეილ ხიდეშელის სახით* მეორეს მხრივ შპს „მშენ-ექსპერტი"-ს („მიმწოდებელი") დირექტორი *მალხაზ წიქარიშვილი* ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს და ვადასტურებთ, რომ შემსრულებლის მიერ შესრულებულია 2012 წლის "23" თებერვლის №40 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილი, კერძოდ:

ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის III და V განყოფილებების ახალი ადმინისტრაციული შენობების მშენებლობის პროცესში მშენებლობის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ მშენებლობის პროცესში საპროექტო მონაცემების დაცვისა და ფარული სამუშაოების შესრულებაზე ტექზედამხედველობა.

გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება ***3 000*** (სამი ათასი) ***ლარი.***

არ არსებობს ურთიერთპრეტენზიები შესრულებულ სამუშაოზე.

ეს აქტი შედგენილია სამი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან ორი ეგზემპლიარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი – მიმწოდებელთან.

მიღება-ჩაბარების აქტს თან ერთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ობიექტებზე ტექზედამხედველობის განხორციელების დოკუმენტაცია – 2 (ორი) ალბომი ორ-ორ ეგზემპლიარად.

| | |
|---|---|
| მიმწოდებელი: | შემსყიდველი: |
| შპს „მშენ-ექსპერტი" | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს |
| დირექტორი ______ | წარმომადგენელი ______ |
| *მ. წიქარიშვილი* | *მ. ხიდეშელი* |

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ # 36

ქ. ბოლნისი „29" „თებერვალი" 2012 წელი

ერთის მხრივ ბოლნისის მუნიციპალიტეტი (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი საკრებულოს თავმჯდომარის ნოდარ საზიაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს "მშენ-ექსპერტი" (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მალხაზ წიქარიშვილის სახით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " ( შემდგომში - "ხელშეკრულება") -შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი-შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. საპროექტო მომსახურება (დ.კაზრეთში სკვერის მოწყობის სამუშაოების პროექტის დამზადება) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (საქართველოს მთავრობის განკარგულება #162 31.01.2012წ. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა) (CVP 71300000)

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია დანართ #1-ში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 1877 (ერთიათას რვაას სამოცდაჩვიდმეტი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

4.4. საავანსო ანგარიშწორება არ გამოიყენება.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს პროეტებს (კონკრეტული პროექტის 4 ეგზემპლარი) და მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები:

--გაწეული მომსახურების დასახელება;

--გაწეული მომსახურების მოცულობა;

--გაწეული მომსახურების ღირებულება.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

5.3.შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს - ნიკოლოზ გობეჯიშვილი - ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახური.

6. მომსახურების გაწევის ვადა

6.1. მიმწოდებელი მომსახურების გაწევას დაიწყებს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დაასრულებს 2012 წლის 12 მარტის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით. იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში.

ბ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა (პროექტების მომზადება) შემსყიდველის მიერ გადაცემული დეფექტური აქტ(ებ)ის ან/და მოცულობათა უწყის(ებ)ის საფუძველზე.

გ) პროექტ(ებ)ში სხვა დამატებითი აუცილებელი სამუშაოების წარმოქმნის შემთხვევაში, სამუშაოების პროექტში გათვალისწინება განხორციელოს შემსყიდველთან შეთანხმებით.

დ) უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა პროექტ(ებ)ის განხორციელების პროცესში ყველა ობიექტის განხორციელების მთელ პერიოდში (საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა, საჭიროების შემთხვევაში საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება, პროექტისა და შესრულებული სამუშაოების იდენტურობის დადასტურება).

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს 9.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

10.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 11. ფორს მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ ან მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 14. სხვა პირობები

14.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

14.2 მიმწოდებელს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მხარეთა მხრიდან მისი ხელმოწერის შემდეგ.

## 15. რეკვიზიტები

„შემსყიდველი"
ბოლნისის მუნიციპალიტეტი
მის: ქ. ბოლნისი, ს.ს. ორბელიანის 106
ს/კ 225393963
სს „ლიბერთი ბანკი"-ს ბოლნისის ფილიალი
ბ/კ LBRTGE22
ა/ა GE65LB0120184309307000

საკრებულოს თავმჯდომარე
ნოდარ საბიაშვილი

„მიმწოდებელი"
შპს „მშენ-ექსპერტი"
ქ. თბილისი, ნოსტეს ქ. #28
ს/კ 200266559
სს „საქართველოს ბანკი"
ბ/კ BAGAGE22
ა/ა GE91BG0000000252938700

დირექტორი
მალხაზ წიქარიშვილი

ქ. ბოლნისი

12 მარტი 2012წ.

# პროდუქციის მიღება-ჩაბარების

# აქტი

ერთის მხრივ, „მიმღები", ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის და ზედამხედველობის სამსახურის სივრცითი-ტერიტორიული მოწყობისა და ურბანული დაგეგმარების განყოფილების უფროსის ნიკოლოზ გობეჯიშვილის სახით და მეორეს მხრივ, „მიმწოდებელი" შპს „მშენ-ექსპერტი"-დირექტორის მალხაზ წიქარიშვილი სახით ვადგენთ წინამდებარე აქტს 2012 წლის 29 თებერვალი №36 საპროექტო მომსახურეობის შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად.

პროდუქციის დასახელება:

1. დაბა კაზრეთში სკვერის მოწყობის სამუშაოების პროექტი მომსახურეობის ღირებულება შეადგენს <u>1877 (ერთი ათას რვაასსამოცდაჩვიდმეტი) ლარი;</u>

„მიმღები"

ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის

ინფრასტრუქტურის და ზედამხედველობის სამსახურის

სივრცითი-ტერიტორიული მოწყობის და ურბანული დაგეგმარების

განყოფილების უფროსი: ნიკოლოზ გობეჯიშვილი

„მიმწოდებელი"

შპს „მშენ-ექსპერტი"

დირექტორი მ. წიქარიშვილი

# ხელშეკრულება №66

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (გამარტივებული შესყიდვა)

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „ 19 “ მარტს 2012 წელს, ქ. თბილისში.

ერთის მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველო (შემდგომში – შემსყიდველი), წარმომადგენლის – საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოადგილის, საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დავით რეხვიაშვილის (საფუძველი: შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის 2011 წლის 12 დეკემბრის №1549010 მინდობილობა) და

მეორეს მხრივ, შპს „მშენ-ექსპერტი“ (შემდგომში – მიმწოდებელი), დირექტორ მალხაზ წიქარიშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ - ქვეპუნქტის საფუძველზე ვადასტურებთ, რომ ჩვენს შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების ობიექტი (საგანი)

1.1 მიმწოდებელი ვალდებულებას იღებს განახორციელოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის II და IX განყოფილებების მშენებარე ახალი ადმინისტრაციული შენობების მშენებლობის პროცესში მშენებლობის განმახორციელებელი ორგანიზაციების მიერ საპროექტო მონაცემების დაცვისა და ფარული სამუშაოების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით ტექზედამხედველობა (**CPV** კოდი– 71247000; 71248000).

## 2. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1 გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 4500.00 **(ოთხიათასხუთასი) ლარს,** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

2.2 გასაწევი მომსახურების ერთეულის ფასი:

- გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის II განყოფილების მშენებარე ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის ტექზედამხედველობა – 2200.00 ლარი.
- გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის IX განყოფილების მშენებარე ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის ტექზედამხედველობა – 2300.00 ლარი

2.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, **სახელმწიფო ბიუჯეტის** სახსრებით.

2.4 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე მიღება–ჩაბარების აქტის და კანონმდებლობით განსაზღვრული საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 საბანკო დღის განმავლობაში.

2.5 ანგარიშწორების ფორმა – უნაღდო. მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე გადარიცხით.

2.6 ანგარიშსწორების ადგილი – ქ. თბილისი.

## 3. ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და მიღება-ჩაბარების წესი

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია 2012 წლის 19 მარტიდან 2012 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით განახორციელოს მომსახურების გაწევა.

3.2 მომსახურება ჩაითვლება გაწეულად, 2.4 მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

3.3 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ.თბილისი.

## 4. ხელშეკრულების ობიექტის ხარისხი

4.1 მიმწოდებელი ვალდებულებას იღებს, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად და შესაბამისობაში იქნება ამ სფეროში არსებულ წესებსა და ნორმებთან, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება.

## 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
– შეამოწმოს გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:
– მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება;
– უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.

5.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე.

5.4 შემსყიდველი პასუხს არ აგებს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

5.5 მიმწოდებელს უფლება აქვს:
– მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

5.6 მიმწოდებელი ვალდებულია:
– განახორციელოს მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
– აღნიშნულ ობიექტებზე შეადგინოს ფარულ სამუშაოთა აქტები, კერძოდ: ფუძე საძირკვლის სვეტების, რიგელების და გადახურვის ფილის მოწყობის ყველა ეტაპზე;
– შეამოწმოს შესაბამება თუ არა საპროექტო მოთხოვნებს აღნიშნული ობიექტების რკინაბეტონის კარკასში გამოყენებული მასალები;
– სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შემსრულებლის მიერ საპროექტო მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში აცნობოს შემსყიდველს აღნიშნულის შესახებ;
– შეამოწმოს და დაუდასტუროს (ფორმა №2-ზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერა) სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შემსრულებელს შესრულებული სამუშაოები და მათი შესაბამისობა საპროექტო მოთხოვნებთან.

5.7 მიმწოდებელი არ აგებს პასუხს შემსყიდველის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

## 6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის

6.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისთვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება წერილობითი გაფრთხილება.

6.3 შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა შეუსრულებელი მომსახურების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

6.4 შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან მომსახურების ვადის გადაცილების ან სხვა არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს საურავი ყოველ გადაცილებულ დღეზე გაუწეველი მომსახურების ღირებულების 0.2 %-ის ოდენობით.

6.5 მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან არ ათავისუფლებს 6.3 და 6.4 პუნქტებით გათვალისწინებული სანქციების გადახდა.

## 7. ფორს-მაჟორული სიტუაცია

7.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

7.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელთა გათვალისწინებაც შეუძლებელი იქნებოდა წინასწარ. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

7.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 8. ხელშეკრულების გადასინჯვა და ცვლილებების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს უფლება არა აქვს ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

8.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

9.2 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

9.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.4 ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

9.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9.6 ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შესრულების კონტროლი

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2012 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

10.2 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამსახურის სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების სარემონტო სამუშაოების ორგანიზებისა და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეგანყოფილების უფროსი **მიხეილ ხიდეშელი.**

10.3 ინსპექტირების მიზანია: გასაწევი მომსახურების ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლი, ზედამხედველობის განხორციელება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

10.4 კონტროლის შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებლის წუნდების მიზეზების მითითებით.

10.5 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

## 11. დავების გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი ურთიერთმოლაპარაკების მეშვეობით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

11.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

## 12. ხელშეკრულების დამატებითი პირობები

12.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

12.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბ-კონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

12.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, იდენტური შინაარსის 3 ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ორი ეგზემპლიარი რჩება შემსყიდველთან, ერთი მიმწოდებელთან.

12.5 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12.6 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და მხარეთა მიერ ხელმოწერილი.

## მხარეთა რეკვიზიტები

**შემსყიდველი:**

შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს
საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის
სამმართველოს უფროსის მოადგილე,
საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის
სამსახურის უფროსი

დ. რეხვიაშვილი

მისამართი: ქ.თბილისი დიღმის მას. II კვ.
ქ. ჩალაძის ქ. №1. ტელ: 241-42-74.
საბანკო რეკვიზიტები; ს/კ 211369179,
ბ/კ220101107, ანგ№200122900,
ს/ს „საქართველოს ეროვნული ბანკი“

**მიმწოდებელი:**

შპს „მშენ-ექსპერტი“
დირექტორი

მ. წიქარიშვილი

მისამართი: ქ.თბილისი ნოსტეს
ქ №28. ტელ: 890-73-02-15.
საბანკო რეკვიზიტები: ს/კ 200266559
ბ/კ 220101502, ანგ№ 252938700
ს/ს „საქართველოს ბანკი“

გვ. №1

## მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი

"15" ნოემბერი 2012 წელი

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი, ერთის მხრივ **შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველო** („შემსყიდველი"), წარმომადგენლის – საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამსახურის სამეურნეო უზრუნველყოფის განყოფილების სარემონტო სამუშაოების ორგანიზებისა და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეგანყოფილების უფროსი ***მიხეილ ხიდეშელის*** *სახით* მეორეს მხრივ **შპს „მშენ-ექსპერტი"-ს** („მიმწოდებელი") დირექტორი ***მალხაზ წიქარიშვილი*** ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს და ვადასტურებთ, რომ შემსრულებლის მიერ შესრულებულია 2012 წლის "19" მარტის №66 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილი, კერძოდ:

გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის II და IX განყოფილებების ახალი ადმინისტრაციული შენობების მშენებლობის პროცესში მშენებლობის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ მშენებლობის პროცესში საპროექტო მონაცემების დაცვისა და ფარული სამუშაოების შესრულებაზე ტექზედამხედველობა.

გაწეული მომსახურების საერთო ღირებულება ***4 500*** (ოთხი ათას ხუთასი) *ლარი.*

არ არსებობს ურთიერთპრეტენზიები შესრულებულ სამუშაოზე.

ეს აქტი შედგენილია სამი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგან ორი ეგზემპლიარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი – მიმწოდებელთან.

მიღება-ჩაბარების აქტს თან ერთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ობიექტებზე ტექზედამხედველობის განხორციელების დოკუმენტაცია – 2 (ორი) ალბომი ორ-ორ ეგზემპლიარად.

**მიმწოდებელი:**

შპს „მშენ-ექსპერტი"-ს

დირექტორი ________

*მ. წიქარიშვილი*

**შემსყიდველი:**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

წარმომადგენელი ________

*მ. ხიდეშელი*

ჭეხხ.

# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 329

**კონკურსი №373**

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 29 03 2012 წ.

ერთის მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, მის ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. №10 (შემდგომში „შემსყიდველი")

და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. "მშენ-ექსპერტი" ქ. თბილისი, ნოსტეს ქუჩა №28 (შემდგომში „მიმწოდებელი")

შორის მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

შემსყიდველმა გამოაცხადა კონკურსი შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ხარაგაულის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვაზე.

(მომსახურების მოკლე აღწერა)

რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის საკონკურსო წინადადება და საკონკურსო წინადადების თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება.

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება: 4 500 (ოთხი ათას ხუთასი) ლარი;

(მიუთითეთ ხელშეკრულების თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)

(შემდგომში "ხელშეკრულების ფასი)

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და ითვლებიან მის განუყოფელ ნაწილად, კერძოდ:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და საკონკურსო წინადადებაზე თანდართული ყველა დოკუმენტი.

გ) ტექნიკური პირობები;

დ) ხელშეკრულების საერთო პირობები;

ე) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;

GEORGIA BUILDEXPERT LTD

2. ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში დაფიქსირებული ყველა მონაცემი, პარამეტრი, ვადები, ტექნიკური და სხვა პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობის ფორმები და სხვა წარმოადგენენ ხელშეკრულების პირობებს.

3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

5. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 15 მაისის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები:

**შემსყიდველი ორგანიზაცია:**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

**მიმწოდებელი ორგანიზაცია:**

შ.პ.ს. "შშენ-ექსპერტი"
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს "საქართველოს ბანკი"-ს
ბანკი კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE91BG0000000252938700
ს/კ: 200266559

საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის
მთავარი სამმართველოს უფროსი

მიხეილ ამირანაშვილი

შ.პ.ს. "შშენ-ექსპერტი"-ს

დირექტორი

მალხაზ ჩიქარიშვილი

მ. ჩიქ

## ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

### 1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, მის ქ. თბილისი, გ.გულუას ქ. №10
(შემდგომში "შემსყიდველი")

მეორეს მხრივ, შ.პ.ს. "მშენ-ექსპერტი", მის: ქ. თბილისი, ნოსტეს ქუჩა №28
(შემდგომში "მიმწოდებელი")

### 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ხარაგაულის რაიონული სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მოწოდება.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს;

- არქიტექტურული პროექტი (მუშა ნახაზი);
- კონსტრუქციული პროექტი; (საჭიროების შემთხვევაში);
- ელექტრომომარაგების პროექტი;
- წყალგაყვანილობის პროექტი;
- კანალიზაციის პროექტი;
- ვერტიკალური გეგმარების პროექტი;
- ხარჯთაღრიცხვა;
- რენდერები და ფოტომონტაჟი;

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება: 4 500 (ოთხი ათას ხუთასი) ლარი;

### ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

კონტროლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებით განახორციელებს სპეციალური ჯგუფი (ინსპექტირების ჯგუფი) შემოწმდება რამდენად დაცულია ხელშეკრულების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ; ფაქტიურად მომსახურეობის ვადა, ფორმა და ხარისხი.

ინსპექტირების ჯგუფი:

1. შსს შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოების ორგანიზებისა და ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ვალერი კველიშვილი.

### 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი (მომსახურეობა) ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ;

4.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების

